მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შაბათს საზეიმოდ გაიხსნა პროფკავშირების VIII საზაფხულო სპარტაკიადა. მთავრობის ლოჟაში იყვნენ: ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი. სპარტაკიადის გახსნის მონაწილეებს მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ნ. რომანოვი, რის შემდეგ ყველა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა აღმართეს სპარტაკიადის ალამი. სტადიონზე გაიმართა მასობრივი საჩვენებელი გამოსვლები, გაგრძელდა ასპარეზობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სურათებზე: ზევით — საქართველოს დელეგაცია სპარტაკიადის გახსნის აღლუმზე. ჩვენი რესპუბლიკის დროშა მოაქვს პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონს სამბოში ფ. ჩიკვილაძეს. **ქვევით, მარცხნივ** — სპარტაკიადის ჩემპიონი ჩოგბურთში თ. კოკულია (საქართველო) ასპარეზობისას. **მარჯვნივ** — საქართველოსა და მოლდავეთის წყალბურთელთა შეხვედრის მომენტი. მატჩი მოიგეს საქართველოს სპორტსმენებმა — 10:0.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 156 (2876) ● სამშაბათი, 10 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

VIII პროფკავშირული

მოსკოვი, 9 აგვისტო (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). სპარტაკიადის პროგრამის აღარცერთი სახეობა არაა დარჩენილი გადამწყვეტი ბრძოლები რომ არ მიმდინარეობდეს. გუშინ ასპარეზობანი გაიმართა ძალოსნობაში, ველოსპორტში (გზატკეცილი და ტრეკი), ფარიკაობაში, ტყვიით სროლაში, მძლეოსნობაში და სხვა სახეობაში.

„სპორტის დედოფლის" რაინდები ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ასპარეზობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გაგვახარეს 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. თბილისის სპორტკლუბ „სინათლეს" გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა ა. შჩერბინამ მხოლოდ გ. სოლოდოვთან (რსფსრ) წააგო და ვერცხლის მედალი მოიპოვა. თბილისიდან სპარტაკიადაზე პირველთანრიგოსანი წავიდა სპორტულ სიარულში შჩერბინას კოლეგა ი. დელა-როსა და ოსტატი დაბრუნდება. საქმე იმაშია, რომ მან გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა და მესამე მივიდა 20 კმ სპორტული სიარულის ფინიშთან. სულ ამ რთულ სახეობაში 15 სპორტსმენმა შეასრულა ოსტატობა.

გამოვლინდნენ ჩემპიონები მძლეოსნობის სხვა სახეობებშიც. ესენი არიან: თ. პრესი (ბირთვი), ვ. ტიხომიროვა (სიმაღლე), ლ. ერიკე (400 მ რბენა), გ. ბისტროვა (80 მ. თარჯრბენი), ე. გორჩაკოვა (შუბის ტყორცნა), ი. ტეროვანესიანი (სიგრძე), ლ. ივანოვი (10.000 მ რბენა), ა. და ვ. მიხაილოვები (110 მ თარჯრბენი და 800 მ რბენა), ვ. ზიმაჩევი (400 მ რბენა. აქ ტ. ბახტაძე V იყო).

დამთავრდა **ტრეკზე** რბოლები. უკანასკნელი ოქროს მედალი დაისაკუთრა ვ. სავინამ. საერთო პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვმა. თერთმეტ გუნდში საქართველო X ადგილზეა.

176 ველოსიპედისტი ჩაება კურკინოს რკალურ რბოლაში (148,8 კმ). სპორტსმენებს 12,4 კმ წრე 12-ჯერ უნდა გაევლოთ. გაიმარჯვა ხარკოვის ველოქარხნის გუნდის წევრმა მ. კურბატოვმა, რომელმაც გ. საიდხუჟინს ზედ ფინიშთან გაუსწრო. ჩემპიონის დროა 3:46.29.

ქალთა შორის ფარიკაობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა პრუდსკოვა.

„გაქცეულ ირემზე" **სროლამ** ოქროს მედალი მოუტანა ი. ნიკიტინს (რსფსრ) — 226 ქულა. ვ. კოხრეიძე IV ადგილზეა — 217 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რსფსრ-მ. არმიული შაშხანიდან სტანდარტზე (3×40) სროლაში ჩემპიონი გახდა მოსკოვი — 4550 ქულა. საქართველომ დაიკავა VI ადგილი — 4436. წოლელა და ჩოქელა სროლაში ჩვენი სპორტსმენები ვ. პელენოვი და ა. ტკაჩენკო V ადგილებს დაეპატრონენ. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში ქალთა შორის ჩვენი გუნდი VIII ადგილზე გამოვიდა — 1617. ჩემპიონმა — უკრაინის გუნდმა 51 ქულით გაასწრო.

დაიწყო ასპარეზობა **ძალოსნობაშიც.** მჩატე წონაში პირველი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ა. ვახონინი (რსფსრ) — 340 კგ (105+105+130) ქვემსუბუქში — უკრაინელი ვ. ვარავა — 352,5 (110+107,5,+135). დ. შანიძემ მოიპოვა V ადგილი — 342,5 კგ, ა. სურმანიძემ მეთორმეტე — 327,5, რ. დათიკაშვილმა — მეთვრამეტე—320 კგ. მსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა ვ. ბულიშევი (რსფსრ) — 390 კგ.

სასტენდო სროლა. პირველი დღის შემდეგ ადგილიდან სროლაში დაწინაურდა უკრაინელი ი. ნიკანდროვი. მან 100-დან 97 სამიზნე გატეხა. ზ. მაჩხანელი VI ადგილზეა — 93. მრგვალ სტენდზე წინაა დ. ტუკშიანი (სომხეთი) 50 ქულა (50-დან). ბ. ანტონოვი მას 1 ქულით ჩამორჩება და ჯერჯერობით VI ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში (კომპლექსში) ლიდერობენ საქართველო და მოსკოვი. თვითეულს 537 ქულა აქვს. მესამეზეა ყაზახეთი — 535.

მაგიდის ჩოგბურთი. საქართველო—მოლდავეთი — 11:2, საქართველო—ყაზახეთი — 11:0. ჩვენები იბრძოლებენ VII-XII ადგილებისთვის.

წყალბურთი. ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა ჩვენს გუნდს ლენინგრადთან ჰქონდა. იგი ფრედ — 4:4 (1:0, 0:2, 1:1, 2:1) დამთავრდა. საქართველოს წყალბურთელები ბრძოლას I-VIII ადგილებისთვის გააგრძელებენ.

კრივი. ხორანაულმა მოუგო ვ. ალკინს (ყირგიზეთი), მაგრამ დამარცხდა ბ. ნიკანოროვთან (მოსკოვი). ა. ხატოევმა (საქართველო) ქულებით დაამარცხა მ. კემიანი (აზერბაიჯანი), ნ. პივოვოროვმა (საქართველო) წააგო პ. ხარლამპიდისთან (უზბეკეთი), რ. რატიანმა — ა. მაგატიანთან (სომხეთი). ვ. ცერცვაძემ — ვ. ფროლოვთან, გ. ვარდანიანმა — ს. ლომაკინთან.

ჭადრაკი. IV ტური. საქართველო—ლენინგრადი—0,5:3,5; V ტური. საქართველო—მოლდავეთი — 2,5:1,5.

ხელბურთი. მეტად დაძაბული იყო საქართველოსა და უზბეკეთის ვაჟთა გუნდების უკანასკნელი მატჩი ქვეჯგუფში. იგი ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 22:18 (12:12) და გავედით ფინალში.

ჯ. ენუქიძე.

სპარტაკიადა ქულებში

15 სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ასეთი სურათია: მოსკოვი — 250 ქულა, რსფსრ — 250, უკრაინა — 233, ლენინგრადი — 204, საქართველო — 173,5, ყაზახეთი — 170, ბელორუსია — 159, ლატვია — 154, უზბეკეთი — 148, აზერბაიჯანი — 133,5, ესტონეთი — 119,5, ლიტვა — 104, მოლდავეთი — 91, ყირგიზეთი — 86,5, სომხეთი — 64, ტაჯიკეთი — 57,5, თურქმენეთი — 35,5.

[illegible] საათი!

◆ **ბონი,** 9 აგვისტო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფი საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც უმთავრესად დაკომპლექტებულია მეორე და ახალგაზრდული ნაკრებების მოთამაშეებისგან, ქალაქ ბადტოლცში შეხვდა კლუბ „ბად-ტოლცს". საბჭოთა ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 8:0. შაიბები გაიტანეს: მიშაკოვმა (2), ზიმინმა, იაკუშევმა, მოისეევმა, სტრიგანოვმა, იაშოსლავცევმა და იონოვმა.

◆ **ნიუ-იორკი,** 9 აგვისტო. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდმა „პოლონიამ" (ბიტომი) მოიგო პირველი მატჩი პრაღის „დუკლასთან" ნიუ-იორკის საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის ფინალში.

◆ **ბელგრადი,** 9 აგვისტო. იუგოსლაველმა სპორტსმენმა ანდრე დებოლომ დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი ცურვაში. მან ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე აჩვენა 58,5 წამი. ძველი რეკორდი უდრიდა 59,3-ს.

„ვარსკვლავები" იგვიანებენ

ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის პირველი დღე ყოველგვარი სენსაციების გარეშე ალინიშნა. როგორც წესი, სტუმრებმა სტარტზე იოლი გამარჯვებები მოიპოვეს. იტალიელმა ლ. ბასიმ დაამარცხა ესტონელი ტ. სოომე— 8:6, 6:1, ფ. გორჯეანიმ (იტალია) მოუგო მოსკოველ ტ. ჩალკოს—6:2, 6:2, ავსტრალიელმა ჯ. ტეგარტმა ფარ-ხმალი დააყრევინა მოსკოველ მ. ჩუვირინას — 6:3, 6:1.

ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე შეუპოვარი მატჩი იყო ავსტრალიელ რ. კულდისა და ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელის ბ. ბუზმაკოვის ორთაბრძოლა. ორსაათიანმა შეხვედრამ გამარჯვების სასწორი ავსტრალიელის მხარეს გადახარა — 6:1, 3:6, 1:6, 6:3, 6:3.

ჩემპიონატის პირველ დღეს, სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრი უცხოელი „ვარსკვლავი" არ ჩამოვიდა. კერძოდ, დაიგვიანა 23 წლის ავსტრალიელმა ქალმა მ. სმიტმა — მსოფლიოს „პირველმა ჩოგანმა".

საერთაშორისო ტურნირი 15 აგვისტომდე გასტანს.





რუსთაველმა მშენებლებმა საინტერესო სპორტული ასპარეზობებით აღნიშნეს მშენებლის საკავშირო დღე. გუშინწინ ქიმიკოსთა კალათბურთის მოედანზე ისინი ეთამაშნენ ქიმიური კომბინატის სპორტსმენებს. „მშენებლის“ სტადიონზე გაიმართა რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატისა და მშენებელთა საერთო საცხოვრებლის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. მშენებელთა აუზში ძალებს ცდიდნენ მოცურავენი. კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა ასპარეზობანი მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ქართულ ჭიდაობაში და სხვ.

სურათებზე: ზევით — მომენტი ქართულ მოჭიდავეთა შეხვედრიდან. ქვევით — წამიც და სტარტი მიეცემა მორიგ გაცურვას.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.



კვლავ ამოქმედდა

იყო დრო, როცა რკინიგზის ზესტაფონის კვანძი შესანიშნავ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის კერად ითვლებოდა. რკინიგზის კლუბში თავს იყრიდა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ეწყობოდა ასპარეზობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მაგრამ ეს კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა.

ერთი წელია, რაც სალიანდაგო დისტანციაში უფროსად დანიშნეს აკაკი მინაშვილი, რომელსაც შრომასთან ერთად სპორტიც უყვარს და ამ საქმის პატრიოტი და გულშემატკივარია. მისი თაოსნობით კვანძზე ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა გაიშალა. შეიქმნა ფიზკულტურის კოლექტივი. საბჭოს თავმჯდომარედ ამავე დისტანციის მთავარი ინჟინერი დ. გულიაშვილი აირჩიეს. ამოქმედდა ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის სექციები. ამ სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე მოჰკიდეს ხელი ამავე საწარმოოს მოწინავე სპორტსმენებმა: რ. შერგელაშვილმა, ნ. ჩხეიძემ, ა. ბუცხრიკიძემ, თ. შერგელაშვილმა, ზ. ფხალაძემ, თ. ვეკუამ და დ. გიორგაძემ. საქმეს მხარში ამოუდგა კომკავშირული ორგანიზაციაც (მდივანი თ. შერგელაშვილი). მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები. ადგილკომის თავმჯდომარემ ა. ხოლუაშვილმა სპორტსმენებს სპორტული ფორმა და ინვენტარი შეუძინა. ფიზკულტურის სპეციალისტის ფ. მოდებაძის ხელმძღვანელობით უკვე ჩატარდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანი და შეხვედრები მეზობელი კოლექტივის ფიზკულტურელებთან.

წელს აქაურმა სპორტსმენებმა მონაწილეობაც კი მიიღეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პირველობაზე და II ადგილი დაიკავეს ფრენბურთში, ხოლო კალათბურთში — III.

აღსანიშნავია აგრეთვე სალიანდაგო დისტანციის შეფობა რკინიგზის № 7 სკოლისადმი. იგი საკუთარი სახსრებით ეხმარება სკოლას მოედნების კეთილმოწყობაში.

ა. განუგრავა.

ერთობიან, ისვენებენ

ზუგდიდიდან 15 კილომეტრის დაშორებით, ერთ-ერთ ულამაზეს გორაკზეა მოწყობილი ჭკადუაშის პიონერთა ბანაკი, სადაც ამჟამად ინგურქაღალდკომბინატის მუშამოსამსახურეთა 100-მდე ბავშვი ისვენებს.

აქ ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ფიზკულტურული წრე. ნორჩი დამსვენებლები ხშირად მონაწილეობენ ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშსა და სხვა სახეობებში გამართულ შიდასაბანაკო შეხვედრებში.

ჭკადუაშის პიონერთა ბანაკში ყველა პირობაა შექმნილი ნორჩი დამსვენებლების სხეულის გაკაჟებისა და შინაარსიანი დასვენებისთვის.

გ. ალშიბაია.

ლილოში აუქმებენ სტადიონს

სპორტის მოყვარულთა სოფელია დიდი ლილო. სიცოცხლით სავსე, კუნთმაგარ ახალგაზრდობაში პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და სხვა სახეობანი.

დიდი ლილო მზარდი სოფელია. აქაურმა ფიზკულტურელებმა რაიონის თასიც კი მოიპოვეს.

საშუალო სკოლა ახალგაზრდა სპორტსმენთა სამჭედლოა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორია ძალზე პატარაა და არც სპორტული იარაღებითა და მოწყობილობითაა მდიდარი.

აქაური ახალგაზრდების მისწრაფება სპორტისადმი უკვალოდ არ დარჩენილა. შერჩეულ იქნა სათამაშო მოედანი, გაღებულ იქნა საკმაო თანხა ფეხბურთის სტადიონის მოსაწყობად და მის შემოსაღობავად. ფეხბურთელებმა ამ მოედანზე დაიწყეს სისტემატური ვარჯიში. აქვე იყო ფრენბურთის მოედანი. აპირებდნენ კალათბურთის მოედნის მოწყობას.

მიდიოდა დრო. ერთხელ ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს მოედანზე მიწა მოეყარათ, ორმოები გაესწორებიათ და მწვანე, მობიბინე მინდორი შეექმნათ.

დირექციას თხოვეს ავტომანქანა, მაგრამ მათი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა. გავიდა კიდევ დრო. ფეხბურთელები იმედს არ კარგავდნენ, ელოდენ საქმის გამოსწორებას, მოედნის კეთილმოწყობას.

ეს იმედიც არ გაუმართლდათ. კეთილმოწყობის ნაცვლად მოედანს ახლა გაუქმება ემუქრება. ამ მიმართებით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯიც. რამდენიმე მეტრზე მოედანი უკვე გადათხრილია. და ეს ხდება მაშინ, როცა ლილოელმა ფეხბურთელებმა რაიონის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაზე II საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ვთქვათ ის ადგილი, სადაც სტადიონია, გზის გასაყვანად, ან სხვა დანიშნულებისთვის აუცილებლად საჭიროა. მაგრამ ხომ უნდა ეფიქრათ ახალი მოედნის მოწყობაზეც? მით უმეტეს, ასეთი თავისუფალი ადგილი იქვე, ახლოს საკმაოდაა.

ნუთუ არ აწუხებთ ახალგაზრდების ბედი? სადამდე უნდა გაგრძელდეს „მამინაცვლობა?“.

ა. სოსელია.

მკითხველთა წერილმა გზად გვიხმო

ცხოვრების კვალდაკვალ

●

საუბარი ახალციხის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარესთან შ. წალდაძესთან

●

რედაქციამ მიიღო ახალციხელი მკითხველების: გ. საკაძის, ა. ბერიძის, შ. ისაკაძის, კ. ჩუბინიძისა და ტ. ამირანაშვილის კოლექტიური წერილი, რომელშიც ავტორები აღნიშნავენ, რომ რაიონის სპორტული ბაზები კეთილმოუწყობელია. კერძოდ, ახალციხის ცენტრალურ სტადიონს არ გააჩნია დასაჯდომი ადგილები, გასახდელები, საშხაპეები და სხვ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ახალციხის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარეს შ. წალდაძეს და თხოვა მკითხველთა წერილისთვის კომენტარი გაეკეთებინა.

აი, რა თქვა მან:

— რაც უფრო მაღალ საფეხურზე — ზენიტზე დგას მზე, მით უფრო მოკლე და უმნიშვნელოა ჩრდილიც.

სხვანაირად რომ ვთქვათ:

რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას გუნდი გათამაშების ცხრილში, მით უფრო სრულყოფილ სტადიონს მოითხოვენ როგორც მაყურებლები, ისე მოთამაშეები.

რა კავშირი აქვს ყოველივე ამას მკითხველთა წერილთან?

აი, რა:

როგორც ცნობილია, ახალციხის ფეხბურთელთა გუნდი „მესხეთი“, რომელიც ადრე არ ბრწყინავდა თავისი შედეგებით, წელს გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. გუნდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაშის სანახაობითი მხარეც. მაგრამ კარგი შედეგებისა და მიმზიდველი სანახაობის მუქზე, როგორც იტყვიან, „გაშიშვლდა“ ყველა ის ნაკლი, რომელიც სტადიონს აქვს. მაგალითად, თუ გასულ წლებში დიდი მოთხოვნები არ იყო ტრიბუნებზე, წელს მაყურებელი, ბუნებრივია, კეთილმოწყობილ დასაჯდომ ადგილებს მოითხოვს.

რაიონის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლი. ღონისძიებები, რომლებიც რაიონის სპორტული ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობას ითვალისწინებს, რა თქმა უნდა, სტადიონსაც ეხება. უახლოეს ხანში დამთავრდება ტრიბუნების მშენებლობა, დაიდგმება გასახდელები, საშხაპეები და სხვ.

რაკი სიტყვა სპორტულ ბაზებზე ჩამოვარდა, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით სხვა სპორტულ ბაზებსაც მოვიხსენიებთ. ახალციხეს აქვს შესანიშნავი საცურაო აუზი. მაგრამ იგი დღემდე უმოქმედოდ იყო: გარკვეული დაბრკოლებების გამო ვერ ვახერხებდით წყალსადენი მილის გამოყვანასა და სხვა დანადგარების მოწყობას. წელს ეს ხარვეზიც აღმოიფხვრება და რაიონის სპორტსმენები თანამედროვე საცურაო აუზს მიიღებენ.

თქვენი გაზეთის ფურცლებზე სამართლიანად აკრიტიკებდნენ ახალციხის სპორტდარბაზს. კერძოდ, წერილში აღნიშნული იყო, რომ მას გადაუდებელი რემონტი სჭირდება. ახალციხის განათლების განყოფილებამ აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანა და დასახა ღონისძიებები, რომლებიც შენობის კაპიტალურ რემონტს ითვალისწინებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რაიონის სპორტსმენები კარგ საწვრთნელსავარჯიშო ბაზას მიიღებენ.

ამრიგად, წერილის ავტორებს, რომლებიც სამართლიანი შენიშვნებისათვის მხოლოდ ქებას იმსახურებენ, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.

გ. შადური.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალციხე.

ახალი სასწავლო წლის წინ

ღია ბაზებსაც ზრუნვა სჭირდება

სამიოდე კვირაც და რესპუბლიკის სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყება. საკლასო ოთახებს, კაბინეტლაბორატორიებს, სპორტულ ბაზებს გაახალისებს დასვენებული, ახალი ენერგიით სავსე ჭაბუკები და გოგონები. ჩვენი დედაქალაქის თითქმის ყველა სკოლაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საკლასო ოთახების, ინვენტარის და სხვათა შეკეთება.

ზოგ სკოლაში არც სპორტულ ნაგებობათა რემონტი გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, სარემონტო სამუშაოებს ძირითადად სპორტულ დარბაზებში აწარმოებენ, ღია მოედნები კი არავის მოგონებია, ცხადია, ახალ ნაგებობათა მოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აი, ოთხი მაგალითი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან: კარგადაა ცნობილი 52-ე საშუალო სკოლის სპორტული ტრადიციები. რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებისთვის მას არაერთი წევრი აღუზრდია; წელს კი განსაკუთრებით აქაურმა მძლეოსნებმა ისახელეს თავი — რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს. ერთი წლის წინათ სკოლის ბაზები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლებმა დაანგრიეს. მართალია, მოსწავლეებს სამაგიეროს მოწყობას შეპირდნენ, მაგრამ... მათ ახალ სასწავლო წელსაც იქვე მდებარე ბაღში მოუწევთ ვარჯიში. ასე, წელსაც ცასა და მიწის შუა გამოკიდებულნი დარჩნენ 52-ე სკოლელები.

55-ე საშუალო სკოლა სპორტული დარბაზის სიმცირეს უჩიოდა. გაერთიანებული და დარბაზად გადაკეთებული საკლასო ოთახები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, სამაგიეროდ ეზოში ჰქონდათ პირველხარისხოვანი ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედნები, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი, ბირთვის სატყორცნი სექტორები. ეს იყო ათიოდე წლის წინათ. მერე, როგორც იყო დარბაზის ასაშენებელი სახსრები გამონახეს და... ღია სპორტული ბაზების ადგილზე ახალი დარბაზი წამოჭიმეს. ახლა მისი რემონტი კი ისე ჭიანურდება, რომ საეჭვოა თუნდაც ოქტომბრისთვის დამთავრდეს. ღია ბაზებიდან ძველ სამკვიდროში მხოლოდ კალათბურთის მოედანი დარჩა, რომელსაც ფარებს ჩვენი იქ ყოფნისას ჰკიდებდნენ (იხილეთ სურათზე). პირისაგან მიწისა აღიგავა მძლეოსნური სექტორები.

ღია ბაზებით მაინცდამაინც ვერც 57-ე სკოლის მესვეურები დაიქადნიან. ფიზკულტურის მასწავლებლებს შარშან მხოლოდ ის მოუხერხებიათ, რომ მოასფალტებულ ეზოში ხელბურთის მოედანი აუგიათ, სხვა სახეობები კი... სპორტულ დარბაზში „შეამწყვდიეს“.

სპორტთამაშების კარგი ბაზა (განათებით) აქვს 56-ე საშუალო სკოლას. ეს არის და ეს. თუ 1 სექტემბრამდე დარჩენილ დროში წესრიგში არ მოიყვანეს სახტომი ორმო, მძლეოსნობის მოყვარულებს საკმაო ხანს უქმად ყოფნა მოუწევთ.

ყველა აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებაში აშკარად შეიმჩნევა ცალმხრივობა — ზრუნვა მხოლოდ სპორტულ თამაშებსა და ტანვარჯიშზე, სხვა სახეობათა (მძლეოსნობა, სროლა და ა. შ.) ბაზების მოწყობაზე კი არავინ ზრუნავს.

საჭიროა აღნიშნული სკოლების დირექციებმა მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დრო, რათა აღსაზრდელებს ნორმალური ფიზიკური წრთობის ყველა პირობა შეუქმნან.

ო. გელაშვილი.

სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებმა.

სხდომამ მოისმინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ლ. ხომენკოვის განცხადება 1968 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადებისთვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების პერსპექტიული გეგმის შესახებ. ლ. ხომენკოვმა ხაზი გაუსვა საბჭოთა სპორტული ფედერაციების წინადადებას ოლიმპიურ შეჯიბრებათა პროგრამის სრულყოფისა და მათი ჩატარების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სპორტის ყველა სახეობა, რომლებსაც აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, შესაძლებელია შეტანილ იქნას თამაშების პროგრამაში.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. სავინმა პრეზიდიუმს მოახსენა ოლიმპიური პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო თათბირების შესახებ, რომლებიც 1965 წელს უნდა ჩატარდეს. ერთ-ერთი მათგანია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თათბირი, იგი რომში გაიმართება (სექტემბერში), ხოლო მეორე — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 63-ე სესია (ესპანეთი, ოქტომბერი).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დამოუკიდებელი თათბირი პირველად ტარდება და მოსალოდნელია, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ ორგანიზაციათა დიდი რაოდენობა, მათ შორის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ეროვნული კომიტეტები. ამიერიდან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური მოძრაობის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

ფარიკაობის, ჭიდაობისა და ფრენბურთის ფედერაციების წარმომადგენლებმა (ნ. ლიუბომიროვმა, ნ. სირჩინმა და ვ. პრავდინმა) წამოაყენეს წინადადებები მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო წესების სრულყოფის შესახებ.

ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხების გარშემო პრეზიდიუმმა შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

მ. ტალი თუ ბ. სპასკი?

ბლედი, 8 აგვისტო. დღეს აქ დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის (ტალ—ლარსენის) ნახევარფინალური მატჩი. ორთაბრძოლის დასკვნით, X პარტიაში ტალმა (თეთრები) დაამარცხა ლარსენი. ამრიგად, მატჩი დასრულდა ანგარიშით 5,5:4,5 ტალის სასარგებლოდ. ტალმა მოიპოვა უფლება განაგრძოს ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ფინალურ მატჩში ტალი შეხვდება სპასკის.

ტალმა მოიგო მატჩი! ამას თითქმის ყველა მიმომხილველი წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ლარსენმა ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია რიგელ დიდოსტატს, რომ ყველა დაეჭვდა მის გამარჯვებაში. მაგრამ სასწაული არ მოხდა.

საინტერესოა, რომ გამართლდა ლარსენის პროგნოზები ოდნავი შესწორებით. დანიელი დიდოსტატი მართალი აღმოჩნდა, რომ მისი მატჩი ტალთან მსოფლიო პირველობაზე მანამდე ჩატარებული ორთაბრძოლებიდან ყველაზე სანახაობითი და მხიარული იქნებოდა. მართლაც, ორთაბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია თავისი დაძაბული მსვლელობით. ყველა პარტია აღინიშნებოდა მძაფრი კომბინაციით, მოულოდნელი იერიშით... ლარსენმა სწორად გამოიცნო მატჩის საბოლოო ანგარიშიც — 5,5: 4,5, მაგრამ „პატარა“ შეცდომა დაუშვა, როცა საკუთარი თავი დაასახელა გამარჯვებულად.

ახლა წინაა ფინალური მატჩი სპასკსა და ტალს შორის. იგი დანიშნულია მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის (ჩატარების ადგილი ჯერ არ არის ცნობილი). მეტოქენი გაითამაშებენ 12 პარტიას. გამარჯვებული 1966 წლის მარტში შეხვდება მატჩში მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანს.

ტალი და სპასკი ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ჯერ კიდევ ბავშვობაშიც. ამ მატჩების საერთო ანგარიში სპასკის სასარგებლოდაა. მას 5 პარტია მოუგია ტალისთვის, ხოლო ტალს ერთხელ ჰყავს დამარცხებული სპასკი.

თ. გიორგაძე.

ჭ ა დ რ ა კ ი

გამოსავალი ნახა

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა დიდოსტატ რ. ფიშერს კუბაში ჩასასვლელ ვიზაზე, სადაც იგი მიწვეული იყო კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. მაგრამ რ. ფიშერმა მაინც ნახა გამოსავალი. იგი ითამაშებს ტურნირში... ტელეფონის საშუალებით.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ საჭადრაკო კლუბში ფიშერი ტელეფონით მიიღებს ხოლმე მეტოქის სვლებს ჰავანიდან და ტელეფონითვე შეატყობინებს თავის სვლას. ფიშერის თამაშის თვალის სადევნებლად გამოყოფილი იქნება საგანგებო მსაჯი.

დინამოელთა საკავშირო

კიევში დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. 80 მ თარჯრბენში ი. პრესმა იერიში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე და კარგი დროც (10,6) აჩვენა, მაგრამ რეკორდი ხელუხლებლი დარჩა. 100 მ რბენაში გ. კასანოვმა გაიმეორა საზოგადოების რეკორდი — 10,3. ქალთა შორის გაიმარჯვა გ. მიტროხინამ — 11,5. სეზონში საუკეთესო შედეგი — 53,8 აჩვენა 400 მ რბენაში გამარჯვებულმა მ. იტკინამ.

ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში II საპრიზო ადგილი მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვ. სანეევმა — 734 სმ. საზოგადოების ჩემპიონი გახდა ა. ვაუპშასი — 762 სმ.

სსრ კავშირის პირველობა

მხოლოდ ერთი ქულა...

ფეხბურთი
1965

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 9 აგვისტო.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1 (0:0).

„ლოკომოტივი“: რუხაძე, იაშვილი, ჩუბინიძე, ონიანი, კიზირია, ისიანი, მუმლაძე, შაფათავა (აპრესიანი), მაზიაშვილი, ახალკაცი, კოშკელოვი.

„თერგი“: გავრიკოვი, კოჩერგინი, შკოდნია, იუდანოვი, კალაშნიკოვი, სალკოვი, დანილოვი, ბარამიანი, მიხეევი, კოსოვი, ჟერდევი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „თერგის“ სასარგებლოდ.

მატჩის საერთო დაძაბულება და სიმწვავე ძირითადად განპირობებულ იქნა დასაწყისშივე, როცა ორივე გუნდმა სწრაფ შეტევებზე ააგო თამაში. ათიოდე წუთის მანძილზე კოშკელოვს, მუმლაძეს, მაზიაშვილს ზედიზედ ჰქონდათ ძალზე ხელსაყრელი მომენტები კარის აღებად, მაგრამ სტუმრებმა შეინარჩუნეს კარის ხელუხლებლობა და შემდეგ ბრძოლა თანდათან გადაიტანეს შუა მინდორში.

დაახლოებით ასეთივე სურათი იყო მეორე ტაიმშიც, მაგრამ მისი ბოლო წუთები თითქმის მთლიანად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. „თერგს“ მხოლოდ ეპიზოდურად უხდებოდა იერიშზე გადმოსვლა და სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა გოლით დამთავრდა: კოსოვმა თითქმის პირითი ხაზიდან დაარტყა, რუხაძემ ცუდად მიიღო ბურთი და კარში გაუშვა იგი — 1:0.

საპასუხო გოლი „ლოკომოტივმა“ გაიტანა 30-ე წუთზე. კოშკელოვმა მარცხენა ფრთიდან მოაწოდა კუთხური და კართან შექმნილ არეულობაში ბურთი კარში გავიდა — 1:1. თბილისელებმა მიაღწიეს ფრეს, თუმცა შედეგი შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო.

რ. ასათიანი.

„იმედის თასზე“

ერევანი. აქ გაიმართა განმეორებითი მატჩი ფეხბურთში „იმედის თასზე“ სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ვინაიდან ფრე იქნა ფიქსირებული პირველ შეხვედრაშიც, გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი გადაწყდება მომავალში.

საქართველოს 1965 წლის თასის გათამაშების ბადე



კანადას დიდი გეგმები აქვს

„ჰოკეისტთა 1966 წლის მსოფლიო პირველობაზე კანადის ნაკრები კვლავ „ვინიპეგ მარუნსის“ კლუბის ბაზაზე დაკომპლექტდება“, — განუცხადა ჟურნალისტებს კანადის მოყვარულთა ჰოკეის ასოციაციის მდივანმა გ. ჯაკსმა.

ჩემპიონატამდე კანადელი ჰოკეისტები მთელ რიგ შეხვედრებს გამართავენ ევროპის უძლიერეს კლუბებთან. 12 დეკემბერს კანადას ეწვევა სსრ კავშირის ნაკრები, იანვარში კი ოტავაში ითამაშებენ შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდები.

26-31 დეკემბერს კანადის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს კოლორადო-სპრინგსის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ასევე გამოვლენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ნაკრები გუნდები. კანადის მოყვარულთა ჰოკეის ასოციაციას ევროპაში ორი გუნდის გაგზავნა აქვს განზრახული. ისინი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამხანაგურ მატჩებს გამართავენ შვეციაში, ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში, გფრ-ში, შვეიცარიაში, ფინეთში, ავსტრიასა და საბჭოთა კავშირში.

ახალი ამბები

● **ვარშავა.** აქ გამართულ პოლონეთისა და აშშ-ის მძლეოსანთა მატჩში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორმა ი. კირშენშტეინმა. 200 მეტრზე რბენაში მან აჩვენა 22,8, რაც 0,1 წამით აღემატება მისსავე ძველ რეკორდს.

● **მოსკოვი.** ტუშინოს აეროდრომზე გაიმართა მშენებლის დღისადმი მიძღვნილი პარაშუტისტთა შეჯიბრება. ტურნირში კარგად გამოვიდა ინჟინერ-მშენებელი ლ. ოვსიანიკოვი, რომელიც 30 წელია სპორტის ამ სახეობას მისდევს. 701-მა ნახტომმა მას გამარჯვება მოუტანა.

● **ბარსელონა.** 15 აგვისტოს აქ სტარტს აიღებს ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიოს VIII ჩემპიონატი. ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ამას წინათ პრესაში გამოაქვეყნა ასპარეზობის მონაწილეთა სია, რომელშიც დასახელებულია 23 მოჭადრაკე ამდენივე ქვეყნიდან. სიაში არიან ფავორიტებიც — ტუკმაკოვი (სსრ კავშირი), კურაიცა (იუგოსლავია), ბეიმანი (ისრაელი) და ჰიბნერი (გდრ).

● **მ ე ს ი ნ ა.** აქ დაიწყო კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრების გარდა მონაწილეობენ ნიუ-მექსიკოს შტატის (აშშ) უნივერსიტეტის გუნდი (მწვრთნელი, ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი მაკ-გრეგორი), ვარშავისა და იტალიის შეიარაღებული ძალების ნაკრები.

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის მძლეოსანთა ეროვნულ ჩემპიონატში ნაჩვენები იქნა რამდენიმე საერთაშორისო კლასის შედეგი. ასე მაგალითად, 100 მეტრი პავლოვიჩმა 10,5 გაირბინა, თარჯრბენში 110 მეტრზე პეტრუშიჩმა აჩვენა 14,7. რიდოშევიჩმა ბადრო ტყორცნა 53 მ 74 სმ-ზე.

● **გ ა რ მ ი შ-პ ა რ ტ ე ნ კ ი რ ხ ე ნ ი.** ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა. აი, რას წერს რეაქციული გაზეთი „ბილდ-ცეიტუნგი“: — „ჰოკეი უნდა ვისწავლოთ მხოლოდ და მხოლოდ რუსებისგან“.

● **ბუდაპეშტი.** 20 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში აღიმართება უნივერსიადის გახსნის ალამი. სტუდენტთა ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ხუთი კონტინენტის 3 ათასამდე სპორტსმენი.

● **ნ ი უ-ი ო რ კ ი.** აშშ-ის ჩემპიონის წოდება ძალოსნობაში წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ჰანსონმა (301,5), იმახარამ (358,5), ბრანუმმა (372), გარსიმ (400), კლივლენდმა (447), მარჩმა (460) და შემანსკიმ (524). აღსანიშნავია, რომ შემანსკის უკვე შეუსრულდა 41 წელი.

რობერტ ფიშერი, როგორიც არის იგი

ა. კოტოვი,
საერთაშორისო
დიდოსტატი.

გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატი ა. კოტოვი უკანასკნელ წლებში ლიტერატორად მოგვევლინა: გამოსცა მოთხრობების კრებული, დაწერა დიდი რუსი მოჭადრაკის ა. ალიოხინისადმი მიძღვნილი რომანი „თეთრები და შავები“. წელს ჟურნალი „ზნამია“ ბეჭდავს ა. კოტოვის ნარკვევების სერიას სათაურით „ჭადრაკი ხუმრობით და სერიოზულად“. მკითხველებს ვთავაზობთ ერთ-ერთ ნარკვევს ამ სერიიდან.

რობერტ ფიშერი პირველად 1962 წელს ვნახე, როცა ის უკვე მსოფლიოს ანცვიფრებდა თავისი გამარჯვებებით, რაც გასაოცარია ესოდენ ადრეულ ასაკში. მაგრამ არაჩვეულებრივ დიდებასთან ერთად გაისმოდა დაუჯერებელი ამბები ფიშერის ჟინიანობაზე, მის გამომწვევ ტანსაცმელსა და ქცევაზე, მის უმეცრებაზე. ამიტომ იყო, რომ როცა 1962 წელს საზონათშორისო ტურნირზე მივემგზავრებოდი, ერთგვარ ამერიკელ სტილიაგასთან შეხვედრას მოველოდი.

მსოფლიოს ყველა საუკეთესო მოჭადრაკემ მოიყარა თავი იმ დღეებში შვეციის დედაქალაქში, ტურნირს ხომ საჭადრაკო ტახტის პრეტენდენტობის უფლება უნდა დაედგინა.

შეჯიბრების გახსნა მოეწყო ოტელ „აპოლონიას“ პატარა დარბაზში. იგრძნობოდა ფუსფუსი, გაისმოდა სასიხარულო წამოძახილები შეხვედრათა დროს, ურთიერთ შეკითხვები, ოხუნჯობა, სიცილ-ხარხარი, საჭადრაკო ბრძოლის დაწყებამდე ჩვეულებრივად ყველა მხნედ და მხიარულად გრძნობს თავს: ამ დროს ხომ ყველა მონაწილეს გამარჯვების, წარმატების თანაბარი შანსი აქვს. ფოლკე როგარდმა საპასუხისმგებლო შეჯიბრების დაწყება მიულოცა მოჭადრაკეებს და კენჭისყრის დაწყების ნიშანი მისცა მთავარ მსაჯს გედეონ შტალბერგს.

— რობერტ ფიშერი, — სხვებთან ერთად შტალბერგმა ამერიკელი დიდოსტატიც დაასახელა. მე ინტერესით ვეძებდი ფიშერს შეკრებილთ შორის. ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობდი, ვნახავ ლეგენდარულ ჩემპიონს. მაგრამ ადგილიდან არავინ იძვროდა. უცებ სიჩუმე დაარღვია ვიღაცის წკრიალა ხმამ:

— ის აქ არ არის!

— ის რა... არ ჩამოსულა? — დაინტერესდა მთავარი მსაჯი.

— არა, ის სტოკჰოლმშია... თავის ნომერში სძინავს.

გაისმა საერთო ხარხარი. ბობი თავისას არ იშლის. ყველას ახსოვდა ციურიხში მომხდარი შემთხვევა, როცა ფიშერმა ტურნირის დახურვაზე საათნახევრით დაიგვიანა (!). კი მაგრამ, ჩახვიდე ქალაქში და კენჭისყრაზე არ გამოცხადდე!..

კაცი, რომელმაც თქვა, ფიშერს სძინავსო, ყოველმხრივ ცდილობდა ეშველა მისთვის. ის მსაჯთა მაგიდასთან მივიდა და დიდხანს გაცხარებით უხსნიდა რაღაცას. ბოლოს, როგორც იქნა, მსაჯებმა ნება დართეს ამოეღო ნომერი, რომლის მიხედვითაც ფიშერი სატურნირო ცხრილში ჩარიცხეს.

როცა კენჭისყრა დამთავრდა, იმ ჯენტლმენმა შეკრებილთ გასაცნობად ჩამოუარა.

— არტურ ტუროვერი, — აცნობდა თავს ამერიკელი და თან უმატებდა: გახსოვთ ცნობილი პარტია ალიოხინ—ტუროვერი? ეს მე დამამარცხა ბრედლეიბიჩში გენიალურმა რუსმა ცხრაას ოცდარვა წელს.

იქვე ის თანამოსაუბრეს სავიზიტო ბარათს აძლევდა. „არტურ ტუროვერი — საწისქვილე და საფქვავი საქმე“ — დაბეჭდილი იყო პატარა კვადრატულ გატკეცილ მუყაოზე. საუბრიდან გამოირკვა, რომ ეს ფხიანი ამერიკელი შვეციის დედაქალაქში ფიშერის თანმხლებად ჩამოსულიყო. მდიდარი ამერიკელი საქმოსანი მეცენატ-მილიონერთა მიერ შეერთებული შტატების ნიჭიერ მოჭადრაკეთა მხარდასაჭერად დაწესებული სპეციალური ფონდის გამგებელი იყო.

ამრიგად, ტურნირის გახსნის დღეს ვერ მოვახერხე ფიშერის ნახვა. არა უჭირს, იმედს არ ვკარგავდი. მეორე დღეს მაინც ვნახავ-მეთქი. თამაშზე ხომ მაინც მოვა, რა დაგაძინებს ნომერში, როცა საჭადრაკო საათი ჩართულია!

აი პირველი ტურიც. დაუწერელი წესების მიხედვით ყველა ჩვენი დიდოსტატი თამაშის დაწყებამდე ათი წუთით ადრე სატურნირო დარბაზში იყო. მსაჯებმა საათები ჩართეს, შეჯიბრების მონაწილეებმა დაფებზე მეფის და ლაზიერის პაიკები გადაადგილეს. მხოლოდ ერთ დაფაზე არ გაკეთებულა პირველი სვლა — იმ დაფაზე, რომელზეც ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო რობერტ ფიშერი.

რა მოხდა? კიდევ რაღაც ახირებულობაა?.. შეშფოთდნენ მსაჯები, ადმინისტრატორებმა ტელეფონები ააწკარუნეს. ვიღაცამ ისიც კი თქვა, გაიქცეს ვინმე ამერიკელი მოიყვანოსო.

ფიშერი მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ შემოვიდა დარბაზში.

— უმსგავსობაა, სტოკჰოლმში ტაქსს ვერ იშოვი კაცი! — უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ის.

— კი მაგრამ, თქვენი ოტელი ხომ აქედან ორ ნაბიჯზეა, — შენიშნა მსაჯმა, — ხუთ წუთზე მეტი არ იქნება სავალი.

— მერე რა, — შეესიტყვა ბობი,— მე ჩვეულებისამებრ თამაშზე ტაქსით დავდივარ!

ფიშერი დაფას მიუჯდა, მოწინააღმდეგეს მიესალმა. რამდენიმე წამს ის მოსახერხებლად ათავსებდა თავის გრძელ ფეხებს პატარა მაგიდის ქვეშ, შემდეგ მტკიცედ გადაადგილა ორ უჯრაზე მეფის პაიკი. ეს სვლა არავის გაკვირვებია: ყველასათვის ცნობილია, რომ ფიშერი თამაშს მუდამ e2—e4 სვლით იწყებს.

რობერტი ცხრამეტი წლისაზე უფრო დიდად გამოიყურებოდა: მხოლოდ მაშინ, როცა დარცხვენილი და ცოტაოდენ დაბნეული გაიღიმებდა, მისი სახე მთლად ბავშვურ გამომეტყველებას იღებდა. ფიშერი დაფას გაუნძრევლად უჯდა, დიდხანს სკამიდან არ დგებოდა. მთელი ყურადღება ფიგურების პოზიციაზე ჰქონდა მიპყრობილი და საერთოდ ვერ ამჩნევდა რა ხდებოდა ირგვლივ.

ასეთი განკერძოებულობა საჭადრაკო ბრძოლით თავდავიწყებით გატაცებასა და დიდ ოსტატობაზე მეტყველებდა. მხოლოდ იშვიათად, იმ შემთხვევაში, როცა მაყურებელთაგან ვინმე ხმაურობდა, ფიშერი უკმაყოფილოდ იჭმუხნებოდა, გულმოსული იცქირებოდა მყუდროების დამრღვევისაკენ, ხანდახან კი დარბაზში წესრიგის დამყარებას თხოვდა მსაჯს.

ჩემი პირველი შთაბეჭდილება მკვეთრად განსხვავდებოდა ყოველივე იმისგან, რაც ფიშერზე ჟურნალ-გაზეთებში წამეკითხა. ის უფრო მორიდებული და სიტყვაძუნწი იყო. უფრო გვიან დავრწმუნდი, რომ საერთოდ ადვილი არ არის საუბარში მისი ჩათრევა — იგი წაყრუებას უფრო არჩევდა. თან არასოდეს თავს ნებას არ აძლევდა გესლიანი შენიშვნები მიეცა ან ქედმაღლურად ჭკუა ესწავლებინა თავისი მოწინააღმდეგისთვის. თუმცა, რაღა დასამალია, თითქოს მას ჰქონდა ამის საფუძველი. როგორც ჭადრაკის გაგებით, ისე თამაშის კლასით იგი ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობაზე ერთი თავით მაღლა იდგა.

განსაკუთრებით ამაღლევა ფიშერის ქცევამ თამაშის შემდეგ. სტოკჰოლმში შეჯიბრება მიმდინარეობდა სატურნირო დარბაზის გვერდით შენობაში, სადაც არცერთი დამატებითი ოთახი არ იყო. ახლად დამთავრებული პარტიის გარჩევა მოწინააღმდეგეებს მხოლოდ გასახდელ ოთახში შეეძლოთ, ისიც თუ დაფას სკამზე დადებდნენ და მის გვერდით როგორმე მოთავსდებოდნენ. როგორც კი დამთავრდებოდა ბრძოლა, ფიშერი მაგიდიდან იღებდა დაფას და ფიგურებს, რომლებითაც ის იყო ითამაშა და გაჭიმული, ზლაზვნით გაივლიდა ხოლმე მთელ დარბაზს. თან, რაღაც სასწაულებრივად ახერხებდა, რომ არაფერი დაბნეოდა. ის მოთავსდებოდა ხოლმე ნახევრადბნელ საგარდერობო ოთახის კუთხეში და მოწინააღმდეგესთან ერთად საათობით არჩევდა შესაძლო ვარიანტებს. შუაღამისას მეგარდერობეები ძლივს დაიყოლიებდნენ ხოლმე ამერიკელს, ბოლოს და ბოლოს დასაძინებლად წასვლის საშუალება მიეცა მათთვის. ფიშერისთვის სულ ერთი იყო ვინ იყო მისი მოწინააღმდეგე — — ერთნაირი გატაცებით არჩევდა იგი პარტიას პეტროსიანთანაც და ინდოეთის წარგზავნილ აარონთანაც, რომელსაც ის იყო დაწყებული ჰქონდა თავისი საჭადრაკო გზა

მე სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი: რატომ არ აღმოჩნდა ფიშერი მთლად ისეთი როგორსაც მას საგაზეთო და საჟურნალო სტატიები სახავდნენ? მას არ ახასიათებდა ამეზრობა, თავშეუკავებლობა, კუდაბზიკობა, რითაც ყურები გამოგვიჭედეს გამჭრიახმა რეპორტიორებმა. ის მუდამ აკვალთული, აკურატული და გულმოდგინედ გაუთოებულ კოსტუმში იყო გამოწყობილი. ეცვა თეთრი პერანგი, ეკეთა კოსტუმის ტონის შესაფერი სადა ჰალსტუხი. შეუძლებელი იყო ფიშერისთვის სტილიაგა გეწოდებია. უფრო გვიან ფიშერი გამომიტყდა, რომ ის გატაცებულია მშვენივრად შეკერილი კოსტუმებით. ბალღური მედიდურობით ჩამომითვალა თუ რამდენი და რომელ ქვეყანაში შეიკერა კოსტუმები. თან განსაკუთრებული პატივმოყვარეობით უბრწყინავდა თვალები, როცა მაცნობა, რომ მისი ორი კოსტუმი შეკერილია იმავე მკერავთან, რომელთანაც თვით პრეზიდენტი ჯონ კენედი იკერავდა.

(გაგრძელება იქნება).

სსრ კავშირი — აშშ

კიევში გამართულ სსრ კავშირისა და აშშ-ის მძლეოსანთა VII მატჩზე შესანიშნავად გამოვიდა რ. კლიმი. უროს ტყორცნაში საბჭოთა სპორტსმენებს შორის პირველმა მან გადააჭარბა 70-მეტრიან ზღვარს, აჩვენა 70,36 მ და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ კლიმის ეს შედეგი სულ რაღაც 6 სანტიმეტრით ჩამორჩება უნგრელ ჟივოცკის ევროპის რეკორდს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კლიმი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და მას ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვების კარგი შანსი აქვს.

სურათზე: რ. კლიმი სარეკორდო ტყორცნის დროს.

ნ. გ. მეიფარიანი

საქართველოს ფიზკულტურულმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე ნიკოლოზ გიორგის ძე მეიფარიანი.

ნ. გ. მეიფარიანი დაიბადა 1904 წელს. ბათუმის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1921 წლიდან იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას; ერთდროულად აღწევს დიდ წარმატებებს ტანვარჯიშში: 1924 წლიდან 5 წლის განმავლობაში იგი იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში.

ნ. გ. მეიფარიანმა საგრძნობი როლი ითამაშა საქართველოში ტანვარჯიშული მოძრაობის აღმავლობის საქმეში, მთელი 45 წლის მანძილზე იგი არ ჩამოცილებია პედაგოგიურ საქმიანობას, ხელმძღვანელობდა ფიზკულტურული მოძრაობის ცალკეულ რგოლებს, 1937 წლიდან კი მუშაობდა ფიზკულტურის ტექნიკუმის უფროს მასწავლებლად, ხოლო უკანასკნელი 9 წლის მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრას. ამ ხნის მანძილზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეთა მთელი პლეადა, რომელიც ამჟამად განაგრძობს ღირსეული მასწავლებლის მიერ დანერგილ ტრადიციას.

ნ. გ. მეიფარიანი ასრულებდა მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ დავალებებს: წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციას, არჩეული იყო ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატად. მისი ხელმძღვანელობით ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრაზე მომზადდა და გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო და მეთოდური ხასიათის ნაშრომი.

შრომისმოყვარეობით, კეთილშობილებითა და პატიოსნებით მისაბაძი ადამიანის ნიკოლოზ გიორგის ძე მეიფარიანის ხსოვნა მარად იცოცხლებს მადლიერი აღზრდილებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ბრაზილიელთა მზადება

როგორც რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, ბრაზილიელები მსოფლიოს VIII ჩემპიონატის წინ 15 დღეს გაატარებენ შვეციაში, სადაც ისინი აქ ჩადიან აკლიმატიზაციის მიზნით. აქ ამ დროს ისეთივე ამინდია, როგორც ინგლისში.

ამ ორკვირიანი შეკრების დროს ბრაზილიელები აპირებენ საკონტროლო მატჩების ჩატარებას დანიისა და გფრ-ის ნაკრებ გუნდებთან, ამასთან გერმანელებს მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთამაშება, თუ კი ისინი ვერ მოიპოვებენ ინგლისში გამგზავრების უფლებას (დანიელების საკითხი კი ამ მხრივ გადაწყვეტილად მიაჩნიათ). გარდა ამისა, უშუალოდ შეჯიბრების წინ ბრაზილიელები შეხვდებიან ერთ-ერთ უძლიერეს ინგლისურ კლუბს („მანჩესტერ იუნაიტედს“ ან „ლივერპულს“).

კაროლ შოოში იმედოვნებს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი უნგრელი სპეციალისტი კ. შოოში მიიჩნევს, რომ მის გუნდს კიდევ აქვს შესაძლებლობა შეეცილოს უნგრელებს „ლონდონის საგზურში“. გერმანელთა ეროვნულ ნაკრებს საწვრთნელი შეხვედრა ჰქონდა შვეციაში, სადაც დაამარცხა სამხრეთ შვეციის ნაკრები ანგარიშით 6:0.

როგორც ბერლინის „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტი იუწყება, გერმანელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გუნდი თამაშობდა თავისი ტრადიციული შემადგენლობით: ვაიგანგი, ფრესდორფი, ვალტერი, გაისლერი, კერნერი, პანკაუ, შტაინი, ნელდნერი, ბაუხშპისი, ერლერი, ფოგელი.

იგივე კორესპონდენტი იუწყება, რომ ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მცველი კ. ურბანჩიკი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ფეხი მოიტეხა, ველარ ითამაშებს. იგი კ. შოოშის ასისტენტი გახდება.

კუბალა გაექცა დი სტეფანოს

ბარსელონას „ესპანიოლის“ მწვრთნელმა კუბალამ შარშან კლუბში მიიწვია თავისი ძველი მეგობარი დი სტეფანო და დასდო მისთვის მეტად ხელსაყრელი ხელშეკრულება. მაგრამ დამოკიდებულება ძველ პარტნიორებს შორის მალე გაფუჭდა.

დი სტეფანომ, რომელიც ახლა 39 წლისაა, სეზონი ცუდად ჩაატარა, ესპანეთის პირველი ლიგის ერთ-ერთი სუსტი გუნდი „ესპანიოლი“ კი მთავარ იმედს სწორედ ყოფილ „ფეხბურთის მეფეზე“ ამყარებდა და ყოველ მატჩში გამოყავდა მოედანზე. სათანადო დუბლიორის უყოლობა კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა ვეტერანს.

ერთ დღეს კუბალამ მიიღო მოულოდნელი და, როგორც შემდეგ გამოირკვა, თავისთვის საბედისწერო გადაწყვეტილება: მან დი სტეფანო სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე დასვა და მის ნაცვლად მინდორზე გამოიყვანა... თავისი 17 წლის ვაჟი. ეს სენსაციური გადაწყვეტილება როდი ყოფილა — ერთი წლის მანძილზე კუბალა-უმცროსი სტაჟირებას გადიოდა „არსენალის“ ჭაბუკთა გუნდში და მამის აზრით, მას უკვე შეეძლო დი სტეფანოს შეცვლა.

მწვრთნელის ეს ნაბიჯი დი სტეფანომ დიდ შეურაცხყოფად მიიღო. „ესპანიოლის“ დირექტორატმა და ფეხბურთელებმა კუბალა გაამტყუნეს. კლუბის მესვეურებმა კიდევ 2 წლით განაახლეს კონტრაქტი დი სტეფანოსთან, კუბალა კი იძულებული გახდა „ელჩეში“ გადასულიყო. რა თქმა უნდა, მამის გზას კუბალა-უმცროსიც დაადგა.

▲ **ოსლო.** ნორვეგიისა და პოლონეთის გუნდების მეორე შესარჩევი მატჩი ხელბურთში მსოფლიო პირველობაზე (ქალთა შორის) მოიგეს ნორვეგიელებმა 7:4, მაგრამ შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს პოლონელებმა, ვინაიდან პირველი შეხვედრა დამთავრდა მათი გამარჯვებით — 10:5.

▲ **ლონდონი.** ინგლისისა და პოლონეთის მძლეოსანთა მატჩში აშკარა იყო სტუმრების უპირატესობა — 177:151. ი. კირშენშტეინმა (პოლონეთი) სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 634 სმ და 11 სანტიმეტრით მოუგო მსოფლიო რეკორდსმენს მ. ბიგნელ-რენდის.

▲ **ინდიანაპოლისი.** ავტომობილისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მ. ანდრეტიმ საათში 241,401 კმ სისწრაფე განავითარა და გამარჯვება მოიპოვა.

▲ **ლოს ალტოსი.** 1500 მ თავისუფალი სტილით ცურვაში შესანიშნავი დრო — 18.45,9 აჩვენა 19 წლის შ. ფინერანმა.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66418
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 11956